№ 137 ივლისი 2, სამშაბათი | 1891 | ივლისი 2, სამშაბათი № 137

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ამ ნომერში ათი გვერდია.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

დ. ზ. ბაქრაძის თხზულება

ისტორია საქართველოსი

(უძველესის დროიდამ მე-X საუკ. დასასრულამდე)

ფასი ერთი მანეთი

(10—0—9)

## ახალი ამბავი

*** თუმცა ბრძანება უკვე გამოვიდა, რომ ცხენის რკინის გზის ყოველს ვაგონში მომეტებულს ხალხს ნუ ჩასხავთ, ოც-და-ოთხს კაცზედ მომეტებული ნუ იქნება, რადგან მეტის დატევა შეუძლებელიაო, მაგრამ თითქმის ყოველ დღე შეჰხვდებით ავსებით სავსე ვაგონებს. მსხდომიარეთა გარდა, თითქმის ყოველთვის ვაგონის წინა და უკანა ბაქანზედ იმდენი ხალხი იყრის თავს, მერე ისიც ამ სიცხეში, რომ, სწორედ სულის ამოთქმის ოვსილა აღარ არის. კონდუქტორები უარს ვერ ეუბნებიან, რადგან ყველა მათგანი სცდილობს, რაც შეიძლება ბლომად მიიტანოს ნავაჭრი ფული კანტორაში და ამით თავი ისახელოს. მიზეზი-კი იმისა, რომ ხალხი იძულებულია, თითო-ოროლა ვაგონს წააწყდეს და ხშირად საფეხურებზედ მდგომარემ გამოიაროს მთელი გზა, ვაგონის სიცოტავეა. ჩვენის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოება იოლად მიდის, ახალს ვაგონებს არ იძენს, რომ სიარული უფრო ხშირად იყოს ხოლმე და ვაგონები კანტი-კუნტად არ დადიოდეს.

*** დოჩარმა, ფასი-კი დაუკლო ტფილისის განათების იჯარას, რადგან სხვებიც შეეცილნენ, მაგრამ ვაი თუ ამ სიიაფემა და იჯარადართა შეჯიბრებამ სულ გაუნათებელნი და წყვდიადში დაგვტოვოს. დოჩარმა იჯარის ფასი რომ დაუკლო, ამასთანავე ტფილისის ქუჩებში დადგმულს ფარნებს ნავთიც დაუკლო, ალბად იმ ანგარიშით, რომ თუ ფულს ცოტას იძლევიან, ნავთიც ცოტა ეყოფათ. ამ ანგარიშის წინააღმდეგ-კი არა გვაქვს-რა, მაგრამ ის-კი არაფრად სასიამოვნოა, სწორედ მოგახსენოთ, რომ აუნთებელი ფანრები იდგეს ქუჩაში და ადამიანი კისერს იმტვრევდეს უგზო-უკვლობის გამო. მაგალითებრ, ამას წინად მიხეილის ქუჩაზედ, სადაც თითქმის გათენებამდე დადის ხალხი, ფარნების უმეტესი ნაწილი ჩამქრალი იყო და დანარჩენიც ისე საცოდავად ჰბჟუტავდა, რომ თითონ ფარნის ბოძსაც-კი ვერ დაინახავდით, მანამ შუბლი არ მიგეთხლიშათ ზედ და ტკივილს არ ეგრძნობინებინა, რომ აქ რაღაცაა გზაზედ გახიდულიო.

*** „სემეინი“ ბაღმა, წრეულს პუშკინის ბაღად წოდებულმა, საქმე გაივარჯიშა. ეხლა ამ ბაღში რუსული საოპერეტო დასი ჰმართავს წარმოდგენებს და უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დასი გაცილებით სჯობია შარშანდელს ბიაზის დასს, რომლის ნახვაც ადამიანს თეატრს და სათეატრო წარმოდგენას შეაძულებდა და კი არ შეაყვარებდა. წრეულსაც საუცხოვო საოპერეტო არტისტი-ქალი ქ-ნი ლასალიც მოუწვევია ბ-ნს სამარინ-ბიხოვეცს, მეთაურს ამ საოპერეტო არტისტთა ამხანაგობისას, და ამის წყალობით საკმაოდ დიდს ხალხსაც იზიდავს. ამას გარდა, შარშანდელთან შედარებით ბაღი გამშვენიერებულ-შეკეთებულია და უფრო სასიამოვნოა სასეირნოდ, ვიდრე უწინ იყო. დღეს, სამშაბათს, ამ ბაღში დანიშნულია ბენეფისი არტისტის-ქალის ე. ო. ორლოვსკისა. წარმოდგენილი იქნება სამ-მოქმედებიანი ოპერეტი ი. დეკერ-შენკისა კავკასიის ცხოვრებიდგან „ჰაჯი - მურადი“ და შემდეგ ბიაზი ახალს ლექსებს იმღერებს დღიურს ვარამზედ ხოროთურთ.

*** გუშინ-წინ, კვირას, ივნისის 30-ს, საღამოს ჟამზე, იქნებოდა, ესე რვა საათი, რომ მუშტაიდის მახლობლად შემდეგი ამბავი მოხდა. ერთი, მგონი იტალიელი, ქალი „ნიუ-იორკის ბაღის კარებში მიდიოდა. ამ დროს უეცრად ჩამოვარდა კედლიდგან ფანარი, დაეცა თავზე, ტანზე ნავთი გადაესხა და ცეცხლი წაეკიდა. მისცვივდა ხალხი, დაუწყო ქრობა, მაგრამ ვერა გააწყო-რა: რამდენსაც მეტს უსვამდნენ ხელებს აგუზგუზებულს თმასა და შლიაპაზე, ცეცხლი იმდენი უფრო ჩაღდებოდა. ბოლოს მოისაზრა ერთმა კაცმა, გაიძრო ჩოხა, გადააფარა თავზე და მაშინვე ჩააქრო ალი. საწყალს ქალს გული შეუღონდა, წაქცევასა ლამობდა, მაგრამ ხელით დაიჭირეს, მოაბრუნეს და სახლში გამოისტუმრეს ეტლით.

*** ჩვენმა სახელოსნო გამგეობამ ერთს ხელოსანს, ჩოტკების გამკეთებელს, დუქანი აუწერა იმ მიზეზის გამო, რომ ხელობა არ იცი და ვაჭრობის და მუშაობის უფლება არა გაქვსო. ხელოსანი-კი ამტკიცებს, რომ ხელობაც კარგად ვიცი და უფლებაცა მაქვსო. ეს საქმე მომრიგებელ-სასამართლოს მეორე განყოფილებაშია დანიშნული გასარჩევად და დიდ-ძალი ხელოსნობა მოუთმენელად მოელის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

*** ჩვენ მოგვივიდა ზ. ჭიჭინაძისაგან ახლად დაბეჭდილი წიგნი „გიორგი ვაშინგტონი“, ნათარგმნი რუსულიდგან ნ. ბარნაბიშვილის მიერ. წიგნი შეიცავს 106 გვერდს და ღირს 30 კაპ.

*** ამ საზაფხულოდ დიდ-ძალი მუშა ხალხი მოაწვა ტფილისს ქვემო ქვეყნის თითქმის ყოველ მხრიდგანა და სპარსეთიდგანაც-კი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს ტფილისში ძალიან გამრავლდნენ გადმოსახლებულნი ქართველი გლეხნიც. ტფილისის ახლო-მახლო სოფლებში თუ უმიწა-წყლო გლეხია ვინმე, სტოვებს სოფელს და ცოლშვილით ტფილისში გადმოდის.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ განსვენებულს გრ. ორბელიანს უთქვამს 1879 წ., ბარათაშვილის სურათი და ნაწერები ალ. საგინაშვილის პირველს მეუღლესა ჰქონდაო.

*** ორბელიანთს გვარში ერთი მწიგნობარი მოურავი სცხოვრობდა, გვარად დავით ამერიძე. ეს მოხუცი კაცი ამ ორის წლის წინად გარდაიცვალა და დარჩა ბევრი ძეირფასი დ იშვიათად მოსაპოებელი ხელთ-ნაწერი წიგნი, მაგალითად, ამას აქვს მეორედ აღდგენილი „დილარიანი“, „ამირან დარეჯანიანი“, „როსტომიანი“ და ბევრი სხვაც. ამისაგან ამ ექვსის წლის წინად ერთმა საზღვარ-გარედ მცხოვრებმა ქართველმა ოთხი ძველი წიგნი იყიდა და თან წაიღო. კარგი იქნება, რომ ამ წიგნებს ყურადღება მიეპყრას და ჩვენს საგვარტომო წიგნთ-საცავს არ გამოაკლდეს საბოლოოდ.

*** როგორც შევიტყეთ, ის ძვირფასი პატარა რვეული, რომე-

## ფელეტონი

### თამასუქი

(მოთხრობა დე-ლეპინესი)

(იხ. „ივერია“ № 132)

თავი II

მეგობარი.

ბარონი ლუი-დურანი, რომელზედაც ახლა ვამბობდი, რესტავრაციის უკმაყოფილო დასის მომხრე იყო. ამისმა დედ-მამამ ვაჭრობით დიდი სიმდიდრე შეიძინა; თავისს შვილს უკეთესი განათლება მისცა, მაგრამ ლუი დურანმა არ მიჰხედა თავისს სიმდიდრეს, სწავლა-განათლებასა, და ჯარში შევიდა. აქ რამდენისამე ხნის შემდეგ დურანმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა და დიდი უშიშრობა.

ამასთან ერთად სასწავლებელში სწავლობდა გრაფ შარლ დე-რეველი და ეს ორი ყმაწვილი კაცი ისე მტკიცედ დამეგობრდნენ, რომ, როდესაც დურანი ჯარში გამწესდა, დე-რეველს არ უნდოდა, მეგობარს მოშორებოდა, და იმანაც იმავ ჯარში ითხოვა სამსახური.

ორივენი ერთად მეცადინეოდნენ ჯარში; ორივემ ერთად გამოიარეს ომის მრავალი განსაცდელი; ერთმანერთს ისე უფრთხილდებოდნენ, რომ ერთი მეორესათვის სიცოცხლეს არა ჰზოგავდა, და ასე მეგობრულად ჰმსახურებდნენ, მანამ იმათმა რაზმმა ორსავე მეგობარს ერთსა და იმავე დღეს, ღენერლობა არ მიულოცა. მაშინ ორივენი ერთის ხნისანი იყვნენ, ოც-და-ექვს-ექვსის წლისანი.

ომის გათავებას შემდეგ ორივენი პარიჟში დაბრუნდნენ, განუშორებლივ ერთად იყვნენ, ერთადვე შეუყვარდათ ერთი გასათხოვარი ქალი და ერთმანეთს-კი არ უმხელდნენ თავისს სიყვარულს.

ძლივს-ძლიობით, როგორც იქნა, გრაფ შარლ დე-რეველმა პირველმა გაჰბედა ხმის ამოღება.

— გიყვარსო? პირდაპირა ჰკითხა ლუი დურანს.

ამან გაოცებით შეჰხედა თავისს ამხანაგს და რომ შეატყო, ფერი მისდისო, უპასუხა: არა, არ მიყვარსო! და იმწამსვე ოთახიდგან სტვენით გავიდა—უსტვენდა იმ მარშს, რომელსაც უკრავდნენ ომში იმ დროს, როცა ლუი-დურანმა შარლდე-რეველი სიკვდილისაგან დაიხსნა.

— აი, აკი ამბობენ, რომ ჯარისკაცის გული მაშინ აღელვდება, როცა პირველს ზარბაზნის ხმას გაიგონებსო, სთქვა შარლმა, ატოკებულს გულზედ მიიდო ხელი და უნებლიედ ცრემლი წამოუვიდა თვალებიდგან.

ელენეზედ რომ დაიწერა ჯვარი გრაფ შარლ დე-რეველმა, სამსახურს თავი დაანება; ცოლს მეტად უყვარდა თავისი ქმარი და ვერ აიტანდა მწუხარებას, ქმარი რომ ომში კიდევ წასულიყო როდისმე. ლუი-დურანი-კი ამას შემდეგ ყოველთვის და ყოველგან თავისს სიკვდილს ეძებდა; სიცოცხლე ამძიმებდა და აწუხებდა; მხიარული ხასიათი დაღვრემილებად შეეცვალა; ვერაფერი ვერ გაუქარვებდა მწუხარებას, ომს გარდა, სადაც იმედი ჰქონდა, რომ რომელიმე ტყვია მომხვდება და ბოლოს მოუღებს ჩემს ტანჯვასაო. ლუი-დურანს ისე ეჭირა თავი, ისე ჰმალავდა თავისს სიყვარულს ამხანაგებისაგან, რომ გრაფი შარლ დე-რველი ვერც-კი მიჰხვდა, თუ მისს ბედნიერებისათვის ლუი-დურანმა თავისი საკუთარი ბედნიერება შესწირა და უმსხვერპლა. გრაფინია ელენე თავისს ქმარზედ უფრო ცბიერი იყო და მალეც შეატყო ლუი-დურანს, რომ მეტის-მეტად ვუყვარვარო; რამდენადაც ლუი ჰსცდილობდა სიყვარულის დამალვას, იმდენად უფრო ადვილად ატყობდა ცბიერი ქალი სიყვარულს და ამიტომ დიდის პატივის-ცემით ეპყრობოდა ქმრის მეგობარს, ვითომც და იმისს დასამშვიდებლად; ეს-კი არ იცოდა, რომ ასეთის პატივის-ცემით შეყვარებულს ბარონს ლუი-დურანს სიყვარულის ცეცხლი უფრო მეტად ედებოდა და უფრო უცხოველდებოდა.

ყოველთვის, როდესაც სამსახურიდგან დროებით დაითხოვდნენ დურანს, რომელსაც საფრანგეთის ბარონის წოდება მიანიჭეს, ჩამოვიდოდა ხოლმე პარიჟში და თავისს მეგობართან ჩამოხდებოდა. ზემო სართულში დურანისათვის მუდამ-ჟამს დამზადებული იყო ცალკე ოთახი, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა, პატარა მოაჯირი ჰქონდა და პირ-და-პირ გრაფინია ელენეს ოთახს გაჰყურებდა.

ლუიმ მოაჯირი სხვა-და-სხვა მცენარეებითა და ყვავილებით მოაწყო და აქ იმალებოდა ხოლმე შეყვარებული, აქედამ სცემდა-თაყვანს ელენეს; ყმაწვილის ქალის ყოველი მიხვრა-მოხვრა და მოძრაობა კარგადა სჩანდა მოაჯირდგან. ლუი სულ ელენეს ფიქრში იყო და ამით კმაყოფილდებოდა; ისეთის წმიდა სიყვარულით იყო აღსავსე დურანი, რომ ამითიც თავისს თავს თითქმის სრულ ბედნიერადა სთვლიდა. ეს ქალი იყო მთელი მისი სიცოცხლე და, რაკი ჰხედავდა, რომ ელენე ბედნიერია თავის ქმრის სიყვარულითო, ეს ყოვლად მამაცი და უძლეველი მეომარი კაცი ზეცას აღაპყრობდა თვალებს და მწარე ამოოხვრით წარმოსთქვამდა ხოლმე: ელენე ბედნიერია და სხვა რაღა მინდა ამის მეტიო! სიამოვნებით მიდიოდა ბრძოლის ველზედ, სადაც ოდნავ თავიც რომ გაექნია, ძველს ჯარისკაცსაც-კი შიშით აათრთოლებდა.

საფრანგეთის პირველ იმპერიის დაცემას შემდეგ დურანი სამსახურიდამ დათხოვნილი იყო; ჩამოვიდა პარიჟში და ძველებურადვე თავისს მეგობართან დაბინავდა. ლუი - დურანი უწინდებურადვე მწუხარე იყო, მაგრამ ბევრის მოლოდინის შემდეგ ეს სამი ადამიანი უფრო მტკიცე კავშირით დამეგობრდნენ. გრაფინია ელენე დე-რეველს ქალი ეყოლა და ლუი-დურანმა მოუნათლა.

— ამითი მაინც დავმშვიდდები როგორმე, რომ ელენეს შვილი ჩემი ნათლულიაო, იფიქრა დურანმა და ამას შემდეგ უფრო დამშვიდებული იყო, სიმხიარულეც მოემატა; მეტად შეუყვარდა თავისი ნათლული ლუიზა, თავის ღვიძლ შვილისავით ეალერსე-

ლიც ბარათაშვილის საკუთარს კალამს ეკუთვნის, მისი პატრონი გ. ა. ჰყიდის თურმე. კარგი იქნება, რომ „წერა-კითხვის ეამავრცელებელმა საზოგადოებამ“ შეიძინოს და დასაკარგავად არ გაჰხადოს.

*** წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 67 მოწაფემ; ამათში სასწავლებელის სამმართველომ 31 მოწაფეს მიანიჭა უფლება ტფილისის სასულიერო სემინარიის პირველს კლასში შესვლისა. სულ დანიშნული იყო სემინარიის პირველს კლასში გასაგზავნად 36 მოწაფე; მაგრამ ხუთი მოწაფე დააბრკოლა წლოვანებამ. სემინარიის წესდების ძალით სემინარიის პირველს კლასში შემსვლელი უნდა იყოს 18 წლისა. ეს ხუთი მოწაფე-კი 18 წლისაზე მეტისანი იყვნენ. ამ ორი-სამის წლის წინად საქართველოს ექსარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პალლადიმ, იშუამდგომლა უწმ. სინოდის წინაშე, რომ 18 წ. მეტის ხნისანიც მიეღოთ სემინარიის პირველს კლასში. ეს შუამდგომლობა მაშინ შეიწყნარა უწმ. სინოდმა და იმ წელს სემინარიის პირველს კლასში მიიღეს 18 წ. მეტის ხნისანიც. წელს-კი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველომ მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიის სამმართველოსაგან მოწერილობა, რომლითაც ითხოვდა, რომ 18 წელზე მეტის ხნის მოწაფეებს ნუ გამოგზავნით სემინარიაშიო. ამის გამო ერთმა წლოვანებით დაბრკოლებულის მოწაფის მშობელმა თხოვნა გაუგზავნა პეტერბურგში საქართველოს ექსარხოს და სთხოვა, ჩემი შვილი წლოვანებისა გამო ნუ დაბრკოლდებაო. ექსარხოსს ამ მთხოვნელისათვის, როგორც შევიტყეთ, გამოუცხადებია, რომ ამისთანა საქმეების გადაწყვეტა დამოკიდებულია სემინარიის რექტორზეო.

ჩვენის აზრით, ეს განკარგულება გამოწვეულია იმისაგან, რომ სემინარიის პირველს კლასში შემსვლელთ რიცხვი ყოველ წლობით მატულობს, და ყველა მსურველის მიღება-კი შეუძლებელი ხდება ადგილის უქონლობისა გამო. მაგრამ ძლიერ სამწუხაროა, რომ ხშირად წლოვანება აბრკოლებს ისეთს მოწაფეებს, რომელნიც გაცილებით სჯობიან თავიანთს მცირე-წლოვანს ამხანაგებს. („მწყემსი“)

*** 28 ივნისს, ელისაბედის ქუჩაზე მკურნალის მეუღლის მარიჯე მაჭავარიანის სახლიდგან მოიპარეს ქალის წამოსასხამი, ხალიჩა, ქოლგა, ოთხი სტოლისა და 11 ჩაის ვერცხლის კოვზი და აგრეთვე ფულად 67 მან. სულ-კი 245 მანეთისა.

*** ამავე დღეს ჯარის კაცი ივანე კაიდცენკო ბანაობის დროს მტკვარმა მოიტაცა, მაგრამ მალე მიეშველა ჯარის კაცივე ამბარცუმ გრიქოროვი და გადაარჩინა.

*** 30 ივნისს ელისაბედის ქუჩაზე იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

*** 28 ივნისს აბელგვკორქიანცის სამჭედურში ცეცხლი გაჩნდა და სახლის კოჭები დაიწვა. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

*** ამავე დღეს შეიპყრეს სოფ. ქამანდერის მცხოვრებელი სპირიდონ გოგლამე, რომელმაც მძიმედ დასჭრა ჟუკოვსკი.

*** 28 ივნისს იარმუკაში შეიპყრეს ჯარის კაცნი ზაქარ ნაუმენკო და პროკოფი სვიატოშენკო, რომელნიც კაპელმეისტერის გიდეინისაგან მოპარულს ოქროს ბეჭედს ჰყიდდნენ.

—

შეცდომის გასწორება. ბ-ნ ალ. მირიანაშვილის წერილებში ქართულის წერის შესახებ შარშანაც და წრეულსაც სიტყვა შ ვ ე უ ლ ე ბ რ ი-ს მაგიერ შეცდომით დავბეჭდეთ ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი, ასე რომ სადაც სიტყვა ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ა ნახმარი, უნდა იყოს შ ვ ე უ ლ ე ბ რ ი.

—

ავტორი სტატიისა „მოკლე მიმოხილვა ჩვენის საღმრთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობისა“ გვთხოვს, შევასწოროთ შემდეგი შეცდომები, რომელიც ამ ზემოხსენებულს წერილშიყოფილა:

| არის დაბეჭდილი | უნდა იყოს |
| --- | --- |
| მე № 77 მე-IIV—IX საუკუნეში... | მე-VII—IX საუკუნეში... |
| უფრო დიდი დასდო ეფთვიმემ დაბადების... | უფრო დიდი ღვაწლი დასდო ეფთვიმეს წინა დრომ დაბადების... |
| № 78-ში: | |
| რომელი ზედშემდეგ იყო... | რომელი ზედმდევ იყო... |
| ეფთვიმე მთაწმინდელს უთარგმნია მეათე საუკუნეში... | ეფთვიმე მთაწმინდელის წინა დროს მეათე საუკუნემდე უთარგმნიათ. |
| მათთვის მეათე საუსაუკუნის... | მათთვის მეათე საუკუნემდე... |
| ეფთვიმეს მიერ... | ეფთვიმემდე... |
| მეათე საუკუნის მთარგმნელი მტკიცედ იცავს... | მეათე საუკუნემდე მთარგმნელნი დაბადებისა მტკიცედ იცავენ... |
| № 79-ში: | |
| ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ ნაღვაწი... | ეფთვიმე მთაწმინდელის დრომდე ნაღვაწი... |
| მე № 81: დაუბანდს... | დარუბანდს... |
| მუხლივ... | მუხლი 3. |
| სთხოვს ყოველგვარს საქველ-მოქმედო დაწესებულებას გაურჩევლად სარწმუნოებისა და თვითონაც ისარგებლოს... | სთხოვს ყოველგვარს საქველ-მოქმედო დაწესებულებას, რათა, გაურჩევლად სარწმუნოებისა, ჯეროვნად დაეხმაროს ამ საზოგადოებას და თვითონაც ისარგებლოს... |
| მე № 82: მეათე საუკუნეში ხელმეორედ უთარგმნიათ... | მეათემდე ახლად უთარგმნიათ ანუ შეუსწორებიათ... |
| მე № 116: საიბაბი... | საუბარი... |
| მე № 119: მუხლი 1 წესისა... | მუხლი 1 პირობისა... |
| მე № 123: მოიცადე ცოტაო! დაუძახა მამამ და ისიც წყალში გადაეშვა, მაგრამ. | გამოტოვებულ უნდა იქმნას. (ეს სიტყვები ნომრის შეკვრის დროს იმავე ნომერში დაბეჭდილი მოთხრობიდგან „მამა“-დგანაა გადმოტანილი). |
| მე № 124: საექსარხოსს წარმატებისათვის... | საექსარხოსო წარმატებისათვის. |
| არა მცირედი... | არა მცირედი თანხა. |
| შინ გვჭირდება... | შინ დაგვჭირდება... |
| ტფილისი აღარ არის... | ტფილისი-კი არ არის... |
| მე № 125: შემოდებულ იქმნებოდეს... | შემოღებულ იქმნებოდეს. |

## არჩილური შვიდ-თავი,

(საამდროო ამიცანები)

—

Დიაღ კარგი კაცი არის, ვერვინ იტყვის მისსა გმობას,
Იმას ჩუმად-კი ამბობენ, ვერ შესძლებსო დიდს საქმობას.
Მე ფეხის ხმას ვერ ავყვები, არ ვუჯერებ ამ გვარს ბჭობას.
Ისიც ხომ-კი მოუგონეს, ნატრულობსო ბატონ-ყმობას,
Ტარტარა და მეჭორენი ჯორს შეათქმენ შვილის შობას.
Რაც უნდა სთქვან... მხოლოდ ერთში-კი ვუძრახავ ცუდს მოპყრობას,
Იმ საქმისას, იმ შრომისას, რაც ითხოვდა გამტანობას,
Სხვაში მხოლოდ ვხედავ მტრობას, რომ სწამობენ არაფრობას.

## ნახული და გაგონილი პროვინციელისა

(წერილი გურიიდამ)

თუ პირველ-დასაწყისის სკოლების გამრავლება ერის კეთილ-დღეობისათვის სანუგეშო და სასიხარულოა, იმ შემთხვევაში გურულებს სწორედ რომ სანუგეშო მომავალის იმედი უნდა ჰქონდეთ. აქ არა თუ საზოგადოება არ დარჩენილა უსკოლოდ, არამედ, ასე გასინჯეთ, სოფელსაც იშვიათად შეხვდებით, რომ სამრევლო სკოლა მაინც არა ჰქონდეს გამართული.

სასიამოვნოა სანახავად, როცა ვეებართელა დარბაზი რომლისამე სკოლისა ძალზედ გაჭედილია შეგირდებით, ამ ბუნებრივ მკვირცხლისა და გონება-მახვილის ხალხის შვილებით! აქ ვაჟის გვერდით ქალიც სწავლობს, სწავლობს თავ-გამოდებით და ცდილობს, ვაჟებს უკან არაფერში ჩამორჩეს.

ასეთს სანახაობაზე ხშირად წარმომიდგენია ჩვენი მომავალი ოჯახი. რაღა თქმა უნდა, რომ ხშირად, ძალიან ხშირად, ერთს სკოლაში გაზრდილ-გაწვრთნილნი ქალ-ვაჟნი ცხოვრებაშიც ერთად მოხვდებიან, ერთს ჭერს ქვეშ დაიწყებენ ცხოვრებას და ერთს უღელში შეებმიან. აი, ისინი გაუწევენ ერთმანეთს ნამდვილს მეუღლეობას, ისინი დაჰლევენ სულს ერთმანეთის სიყვარულსა და პატივის-ცემაში; ისინი ეცდებიან, რომ იმათი შვილები უფრო ნასწავლნი, უფრო განვითარებულნი გამოვიდნენ. ამ რიგად ქვეყნისა და ერის წინ-სვლას ვეღარაფერი ვერ დააბრკოლებს, ვეღარაფერი ვერ შეაფერხებს. რის დაბრკოლება, რის შეფერხება, როცა ოჯახიცა და სკოლაც ერთისა და იმავე აზრით, ერთისა და იმავე სურვილით იქნება გამსჭვალული! თუ ჩვენმა სკოლებმა ამ პირველს ხანებში ეს სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას, რასაკვირველია, თავისი საქმე შესრულებული ექნება და პირ-ნათლადაც შესრულებული! ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ზოგიერთს სოფელში ერთ-კლასიანს სასწავლებელს არა სჯერდებიან და ორ-კლასიანს აარსებენ. ორ-კლასიანს სასწავლებელში, როგორც ვიცით, ხუთს წელიწადს სწავლობს ბავშვი და ეს დრო, ჩემის აზრით, სრულიად საკმაოა, რომ მოწაფემ საფუძვლიანად ისწავლოს წერა-კითხვა, შეისისხლ-ხორცოს წიგნისა და ჟურნალ-გაზეთის სიყვარული, გაიგოს თავისი ვინაობა და ცოტად თუ ბევრად ოჯახისა და საზოგადოების სასარგებლო წევრი შეიქმნას. როცა ეს ასე იქნება, მაშინ, და მხოლოდ მაშინ, შეგვეძლება ვსთქვათ, რომ სკოლები გვაქვს და სწავლა-განათლების გზას ვადგევართო.

სამწუხაროდ ჩვენდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენის სკოლების უმეტესი ნაწილი ჯერ-ჯერობით ამ გზას არ ადგია. ზოგიერთი სკოლა სრუ-

---

ზოდა და ყოველისფერს უსრულებდა ხოლმე ამ ბავშს. მაგრამ ეს ჩუმი ბედნიერებაც მალე დაირღვა. გრაფ შარლ-დერეველი გაქანებულ ეტლიდგან გადავარდა და მძიმე ავადმყოფი შეიქნა. სიკვდილის ჟამს მოიწვია თავისი ერთგული მეგობარი, სიყვარულით და სინაზით მოჰკიდა ხელი და უთხრა:

— ჩემო ლუი! ჩემს ცოლსა და ჩემს შვილს შენ უპატრონე და დამშვიდებული დავლევ სულსაო.

ლუიზა ათის წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა; ჯერ არა ესწავლებინათ-რა პატარა ქალისათვის, რადგან მამას ისე უყვარდა, რომ გვერდიდგან არ იშორებდა. დედა მიჰხვდა, რომ ახლა-კი დრო არის სადმე, სასწავლებელში მივაბარო ჩემი ქალიო და ქმრის სიკვდილს შემდეგ ორმა წელიწადმა რომ გაიარა, პატარა ლუიზა საკრე-კიორის სასწავლებელში მიაბარა.

ერთს საღამოს ელენე და ბარონი დანთებულს ბუხართან მარტოკა ისხდნენ და არც ერთმა არ იცოდა, რა ექნა და როგორ დაეწყო ლაპარაკი, სიჩუმის დარღვევა ემძიმებოდათ.

— მე მიყვარს ეს ქალი და ახლა ხომ თავისუფალიაო, იფიქრა ბარონმა და, თავისი განსვენებული მეგობარი რომ მოაგონდა, შეკრთა.

— თავისუფალი ვარ ახალა და არ მიყვარს-კი ეს კაციო, იფიქრა გრაფინიამ და, რომ მოაგონდა, ვაი თუ ახლა გამომიცხადოს თავისი დიდის ხნის დაფარული სიყვარულიო, შეკრთა.

რამდენისამე დღის შემდეგ ბარონმა რაღაცა მიზეზი მოიგონა და პარიჟში წავიდა. ელენემ არა უთხრარა.

შემდეგ ბარონმა პარიჟიდგან წერილი მოსწერა და ატყობინებდა, მოგზაურობა ისე შემიყვარდა, რომ ახლა შვეიცარიაში მივდივარ და ზაფხულში გნახავთ, როცა ლუიზა სასწავლებლიდგან დათხოვნილი იქნებაო. ელენეს არა მიუწერია-რა, რომ მალე დაბრუნებულიყო ბარონი. დურანის წასვლას შემდეგ ელენე სულ მარტოდ-მარტო დარჩა, მაგრამ ამას არა სწუხდა; ახლა უფრო თავისუფლად იყო; იშვიათია, რომ ახალგაზდამ, ლამაზმა და მდიდარმა ქვრივმა ქალმა მარტოკაობით მოიწყინოს. ელენეს წლიურმა შემოსავალმა, ასიათასმა ლივრმა, მისმა ჭკუამ და სიმშვენიერემ მალე ბევრს თაყვანის-მცემელს მოუყარა თავი იმისს სახლში. ამისდა მიუხედავად ქვრივმა აღთქმა დასდვა, რომ ქმარს აღარ შევირთავო, მაინც გენერლისაც ეშინოდა ცოტა. იმის სასტუმრო ოთახებში ხშირად თავს მოიყრიდა ხოლმე პარიჟის უკეთესი საზოგადოება. რა უნდა ექნა ელენეს? ქმარი მოუკვდა... შვილი სასწავლებელში ებარა... ხომ უნდა გართობილიყო როგორმე და რითიმე!

ყოველს ზაფხულს მოდიოდა ხოლმე ელენესთან გენერალი თავისის ნათლულის სანახავად. კვლავ იმავე გრძნობით სავსე, კვლავ შეყვარებული. ელენე უწინდებურადვე გულცივად ეკიდებოდა და მიუკარებელი იყო. ზაფხულში ელენეს სახლი იკეტებოდა და ყოველივე სიმხიარულე საზოგადოებისა მოსპობილი იყო; ხშირად განსვენებულს ქმარზედაც ჰქონდათ ხოლმე ლაპარაკი; ხშირად სოფელშიაც დადიოდნენ ერთად... გენერალს-კი შეტყობილი ჰქონდა, რომ იმისი მოსვლისათანავე, ყოველი წვეულება და დროს გატარება ელენესი ისპობოდა.

— ეშინიან ჩემი, მერიდება... თავისს დღეში არ შემიყვარებსო, ჰფიქრობდა ხოლმე მაშინ საწყალი გენერალი დურანი და უფრო მომეტებულად შეწუხებული ეთხოვებოდა ელენეს.

ზემოდ, ლუი დურანი რომ ვახსენეთ, მაშინ ორის წლის უნახაობის შემდეგ იყო მოსული ელენესთან. უფრო მეტს ხანს გასტანდა ამათი ერთმანეთის უნახაობა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ დასძლია გენერალი დურანი და ელენეს ნახვა საჭიროდ დაინახა. ამ შემთხვევას-კი შემდეგ გიამბობ, ჩემო მკითხველო.

ამ დროს ორმოცის წლისა იყო გენერალი; სახით უფრო ახალგაზდასა ჰგავდა, მხოლოდ თმა სრულიად გასთეთრებოდა და ვერცხლივით უბზინავდა. შუბლზედ ნახმლევი უჩანდა და ეს დანაკოდარი უმტკიცებდა ყველას, რომ გენერალი გულ-და-გულ შეებრძოდა მტერს. თმა გრძელი ჰქონდა და ისე ივარცხნიდა, რომ თითქოს ნახმლევის გამოჩენა უნდა განგებაო: ეს ნაჭრილობევი ამაყსა და ნაზს შეხედულობას უმატებდა გენერლის სასიამოვნო სახეს; იღიმებოდა, იმისს გრძელსა და შავს ულვაშებს ქვეშ ორ-წყებად ჩინებული თეთრი კბილები გამოჩნდებოდა ხოლმე. უფრო შუა ტანისა იყო და სწორედ ეჭირა თავი, ასე რომ მაღალის ტანისაც-კი ეჩვენებოდა კაცს... წლოვანებასთან ცოტა სისქეც მიჰმატებოდა. ვიდრე სამსახურს თავს დაანებებდა, სამხედრო კაცებში ყველაზედ ლამაზი იყო; საზოგადოების მანდილოსნებმა და ბანოვანებმა თავისებურად აღნიშნეს გენერალს იმისი სილამაზე. ჯარისკაცები „გულ-მართალს“ ეძახდნენ და ამხანაგებს-კი ყველას თავის მეგობრად მიაჩნდა.

სხვა-და-სხვა გამოკითხვით აღარ მოუსვენა როზას გენერალმა. როზა თრთოდა შიშისაგან, ვაი თუ წამოვროშო რამეო. მერე არჩია, ისევ ისა სჯობია, ყველაფერი შევატყობინოვო, და ცალკე ოთახში მიიწვია გენერალი, რომ იმათის მუსაიფისთვის ხელი არავის შეეშალა.

გენერალს ბევრი არა უთქვამს-რა, მხოლოდ როზას მუსაიფს განცვიფრებით უგდებდა ყურსა და ერთის საათის შემდეგ იმ ოთახიდგან ბაღში გავიდა. სახე მოჰმუხვნილი და დაღვრემილი ჰქონდა და მეტის სიბრაზით თვალები უელვარებდა.

— ქალბატონს განა არ მოუცდით? ჰკითხა როზამ.

— არა! უთხარი, რომ ეს არის ეხლა ჩამოვიდა-თქო... ცოტა დაღალულიცა ვარ... მინდა მოვისვენო...

მარტოდ რომ დარჩა, ხმა მაღლა შეიგინა... მერე-კი უფრო მშვიდად, დაბალის ხმით დაუმატა:

— საწყალი რეველი! ოხ, ქალებო! ქალებო!

(შემდეგი იქნება)

ლიადაც თავს არ იტკივებს იმისთვის, რომ ბავშვი გონებით წინ წასწიოს და განავითაროს, ზნეობრივად გააფაქიზოს და გაასპეტაკოს. ის • მხოლოდ იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, რომ რამდენიმე სიტყვა, რამდენიმე ამოცანა თუთიყუშისავით გაიზეპირებინოს და „რევიზორს“ თვალები აუბას და სთქვას, რომ მთელის წლის განმავლობაში ოფლ-შეუშრობლად მიმეცადინიაო.

ამ ნაირად „რევიზორი“, რაღა თქმა უნდა, მოსტყუვდება, რადგანაც საქონლის მხოლოდ ზედა პირი აჩვენეს და სარჩიელი-კი დაუმალეს, მოსტყუვდება და ასეთის მოტყუებიდამ ის გამოვა, რომ „სარევიზიო დავთარში“ ამ გვარი სკოლა დიდის ქება-დიდებით იქნება მოხსენებული. მასწავლებელიც, რასაკვირველია, ამ მოწონების საბუთით ყოყოჩობს და მამლა-ყინწაობს და თან გულში იმასაც ფიქრობს, რა ყოჩაღად ვიყავი, რა უნარი გამოვიჩინე, რომ დასაწუნი მოვაწონებინეო.

მოწონება კარგი რამ არის, მაგრამ დასაწუნისა და გასაკიცხის მოწონება ერთსა და იმავე დროს უკადრისობაცაა და თვალების აბმაც. ასეთის სიყალბით, ასეთის ქვენა ანგარიშების მეოხებით მოპოვებული მოწონება უდღეურია, თაღლითია, ქარაფშუტა და ფუქსავატი. მოწონება მაშინ არის ძვირფასი, როცა უსარჩულოდ არის მოპოვებული, როცა მოსაქმე, როცა მშრომელი საკუთარის სინიდისის მიერ არის მოწონებული, თუნდაც ასეთს თრომას მოწონების ნაცვლად დაწუნებაც მოსდევდეს. თორემ რა გამოვიდა, რომ სარევიზიო დავთარში ესა თუ ის სკოლა, ესა თუ ის მასწავლებელი მოწონების სახელითა და ქება-დიდების ბეჭდით იყოს მოხსენებული, ხოლო საქმე-კი სულ სხვას ღაღადებდეს! დიაღ, საქმე ამბობს, რომ ეს სკოლა სულსა და გულს მოკლებულია, დედა-აზრისა და სასურველ-სანუკარ საგნისაგან შორს არის და, თუმცა არსებობს, არსებობს მხოლოდ ახლანდელის მეტიჩარობის წყალობითა არსებობსო.

როცა რომელსამე სასწავლებელს აფასებენ და იმის ავ-კარგს არკვევენ, ამას იმის მიხედვით სჩადიან, ამა-და-ამ სასწავლებელმა თავის მოწაფეთაგან როგორი კაცები გამოიყვანა ქვეყნადაო. სოფლის სკოლებსაც სწორედ ამ მხრით დაედება ფასი, სწორედ ამ მხრით დაესმის მოწონებისა თუ დაწუნების ბეჭედი.

თუ რომელიმე სასოფლო სკოლა ისეთს კაცებს იძლევა, რომელთაც წერა-კითხვა ან სულ არ იციან, ან თუ იციან, ძალიან სუსტად, ასეთის სკოლის შესახებ რამდენიც უნდა გვითხრან, მოწონებულია, ვისგანაც ჯერ იყოსო, ჩვენ მაინც ვერ დავიჯერებთ, რადგანაც ასეთს უადგილოსა და შეუსაბამო მოწონებას დაუპირდაპირდება ის გარემოება, რომ იმ სკოლიდგან გამოსულ მოწაფეთ არაფერი არ ეცოდინებათ.

ეს არის ამ ჟამად ჩვენის სკოლების ძლიერი სატკივარი, ისეთი სატკივარი, რომლის მალამოდ ვერავითარი სხვა საშუალება ვერას გახდება, თუ თითონ მასწავლებლებმა არ შეიგნეს, რა ზნეობრივი მოვალეობა აწევთ კისრად.

ვიდრე მასწავლებელი თავისს საქმეს „ჩინოვნიკურად“ უცქერის, ვიდრე იმისის სინიდისის დასამშვიდებლად სარევიზიო დავთარში დაწერილი მოწონების სტრიქონები საკმაო გამხდარა, ვიდრე იმისი ზნეობრივი მოვალეობა ასეთს ვიწრო ფარგალში ტრიალებს, მანამდე, რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ ჩვენის სკოლების საქმე განკარგდეს და სასურველს გზას დაადგეს.

ერისა და ქვეყნის წინ წამწევი, გამაძლიერებელი და სულის ჩამდგმელი ძალა განათლებაა, რომლის საძირკვლად დღეს საერო სკოლები გამხდარა, ხოლო რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ეს საძირკველი და რა ქია უხრავს ძალ-ღონეს, ეს უკვე აღვნიშნეთ. იმის მიხედვით ადვილად შეიძლება გავითვალისწინოთ კედლისა და მთელის შენობა-აგებულების ავ-კარგი. ეს გათვალისწინება, რასაკვირველია, სამწუხარო სურათს გადაგვიშლის თვალ-წინ, მაგრამ საქმე ის-კი არ არის, რომ სამწუხარო ამბავი მწუხარებით აღვნიშნოთ, არამედ ის, რომ სამწუხარო ამბავმა უნდა დაგვაფიქროს, უნდა მიგვძრა-მოგვძრას და საშუალება რამ უნდა გვაპოვნინოს. თორემ თუ მარტო სკოლები და სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი ვითვალეთ და სხვა აღარაფერი აინუნში არ ჩავიგდეთ, ეს თვლა, ეს ანგარიში მოგვატყუილებს და ისე მოგვატყუილებს, რომ ჩვენვე გვიხაროდეს.

სოფლის სკოლის ნაშეგირდალი, რომ დიდად არაფრით განირჩეოდეს თავის ტოლ-სწორისაგან, რომელსაც სკოლა მარტო სახელით თუ გაუგონია, ეს კიდევ არაფერი, ეს არც იმდენად საკვირველია, თუ მხედველობაში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ დღეს დაბალისა და საშუალო სასწავლებლის ნაშეგირდალიც იმავე ყოფაშია. თუ გითხრეს, ან შენ თავად თუ იცი, რომ ესა-და-ეს ახალგაზდა ამა-და-ამ სასწავლებელშია სწავლა-დამთავრებულიო, თორემ ისე, ერთი წელიწადიც რომ იცხოვროთ მასთან, ვერაფერს შეამჩნევთ, უსწავლია რამ თუ არა. არც სიფხიზლე და განვითარება გონებისა, არც სიწრფელე და სისპეტაკე სულისა, არც სიძლიერე სიტყვისა, არც სინათლე აზრისა, ერთის სიტყვით, არაფერი ისეთი არ ამჩნევია-რა, რომ სთქვა „ღმერთმა დედის ძუძუ შეარგოსო“. ასეთის ახალგაზდის, ანუ უკეთ ვსთქვათ, ახალგაზდა ბერიკაცის დანახვაზე უნებურად ეკითხები შენს თავს: „სასწავლებელი გაათავა ამ კაცმა, თუ სასწავლებელმა ეს კაციო“ და გულდაწყვეტით იმეორებ პოეტის სიტყვებს:

> სასაცილოა, ბერიკაცი
> რომ ყმაწვილობდეს,
> და საბრალოა, ოდეს ყმაწვილი
> ბერიკაცობდეს.

არც ჩვენებურ სტუდენტების შესახებ ითქმის რაიმე გულის მოსაფხანი და სანუგეშო. საზოგადო სატკივრისაგან არც ისინი არიან თავისუფალნი, რის გამოც ძველსა და ახალს სტუდენტს შორის დიდი განსხვავება ჩამოვარდნილა. ამას წინად რომელღაც რუსულს გაზეთში განცხადება იყო დაბეჭდილი: ვეძებთ ისეთს ოჯახს, სადაც სტუდენტი უნდა დავაბინავოთ და სადაც ამ უკანასკნელს შეეძლოს გონებით წარიმატოს და განვითარდესო. ამ განცხადების შესახებ „Нов. Обозр.“-მ სამართლიანად შეჰნიშნა, რომ დრო გამოიცვალა და ყველაფერს სხვა ფერი და იერი დასდო, თორემ ეს რა უბედურება და ღვთის წყრომა არის, რომ წინად ოჯახი ეძებდა სტუდენტს, რათა იმისგან მიეღო ცოდნაო და ახლა-კი სტუდენტისათვის ეძებენ ოჯახს, რათა ოჯახმა ლალაობა და გადიაობა გაუწიოს სტუდენტსაო.

ამ რიგად სწავლა-განათლების საქმეს თუ უტყუარის საზომით გავზომავთ, წინ წაწევის სამაგიეროდ დაქვეითებას შევნიშნავთ. სკოლები მრავლდება, მოსწავლეთა რიცხვი თანდა-თან მატულობს, ხოლო ნასწავლთა და განვითარებულთა რიცხვს ამით არა ემატება-რა. „არარობას ცალუღელა ხარი სჯობიაო“,—ნათქვამია და ამის მიხედვით ჩვენც უნდა ვსთქვათ, რომ სულ უსწავლელობას, რასაკვირველია, წერა-კითხვის ცოდნა სჯობიაო, მაგრამ თუ-კი მცოდნესა და უცოდინარს შორის არაფერი განსხვავება არ იქნება, ასეთი ფუქსავატი ცოდნაც წყალსა და მეწყერს წაუღია. სანთელმა ბნელაში უნდა გამოაშუქოს. მცოდნემ უცოდინართა შორის უნდა გამოიჩინოს თავისი უნარი, თორემ უამისოდ, მარტო იმ საბუთით, რომ ჯიბეში ამა თუ იმ სასწავლებლის დამთავრების მოწმობა უდევს, როგორ დავიჯეროთ იმისი ცოდნა, იმისი განათლება? წარმოვიდგინოთ, რომ ამ ჩვენ ნასწავლსა და მცოდნე კაცებს ერთს მშვენიერს დღეს დაეკარგათ მოწმობა—დიპლომები, რაღა ეშველებათ, რა საბუთით დააჯერებენ ქვეყანას, რომ მცოდნე და ნასწავლები ვართო“.

სამწუხარო და სავალალოა ეს ამბავი, მაგრამ რა ვუყოთ,

> თავისისა ცნობისაგან
> ჩავარდება კაცი ჭირსა!

გოგია

---

## დეპეშა

28 ივნისს

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი 26 ივნისს მიბრძანდნენ კუნძულს გერნგამნზე.

ოფიციალურის დეპეშით იუწყებიან ირკუტსკიდამ, 23-ს ივნისს მემკვიდრე ცესარევიჩის პატივსაცემლად გამართულ იქმნა დიდი სადილი საქალაქო საკრებულოში და სადამო—ინსტიტუტშიო. 24-ს მემკვიდრე ცესარევიჩის თანადასწრებით აღლუმი მოხდა ბანაკად გასულ ჯარისა და აკურთხეს ახალი ხიდი მდინარე ანგარაზე. მისმა უმაღლესობამ ხიდზე გაიარა და წაბრძანდა ამაღლების მონასტერში, ხოლო უკან რომ დაბრუნდა, დაათვალიერა ოქროს სადნობი ქარხანა და მუზეი. 8 საათზედ სადილი გაიმართა გენერალ-გუბერნატორისას, ზედ მოჰყვა ქალაქის მიერ გამართული საღამო (რაუტი) და შემდეგ მემკვიდრე ცესარევიჩი გემით მდინარე ანგარით ღამე წაბრძანდა. თუმცა დრო გარდასული იყო, მაგრამ ხალხი ბლომად შეიკრიბა გასაცილებლად.

„Нов. Вр.“ იუწყება, მრავალნი ერობანი იმ გუბერნიებისა, სადაც მოსავალი არ არის, შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, ნება მოგვეცით ხალხზე ფულის გაცემისა სახელმწიფო ხარჯის მოსაშორებლადაო.

29 ივნისი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი 27 ივნისს იუნგფრუზუნდს მიბრძანდნენ, ხოლო გუშინ ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ საათზე—რილაქსფორდში, განგუდის მახლობლად.

გამოაცხადეს გარდაწყვეტილებანი: 1) რომ სამეურნეო საზოგადოებათ ნება მიეცეს საქონლის საწყობების დაარსებისა; 2) დაედოს სახელმწიფო სამამულო გარდასახადი ამერიკულ ბამბის პლანტაციებს თურქესტანში; 3) კვლავ იმუშაოს იმ კანონებმა, რომლის ძალითაც ჰიპოთეკზე სესხს აძლევენ სახელმწიფო ბანკი და რკინის გზანი.

გზათა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საბჭოში წარდგენილი წინადადებანი შესახებ რუსეთის ხელმეკვრისა ზოგიერთს უცხო სახელმწიფოსთან სავაჭრო საქონლის რკინის გზებით საერთა-შორისო გადატან-გადმოტანის თაობაზე უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ განზრახული შემცირება გარდასახადთა განსაკუთრებით იმ ხარჯთ არ შეეხება, რომელსაც პირ-და-პირი დამოკიდებულება არა აქვს გლეხთა საჰიროებასთანაო. განზრახვა აქვთ აგრეთვე ზოგს საზოგადოებაში შემოღებული წესი სულთა რიცხვის კვალობაზე ხარჯის აკრეფისა შეიცვალოს სხვა წესზე და მამულის კვალობაზე აკრიფონ ხარჯი.

რკინის გზების საქმეთა დეპარტამენტი ამ მოკლე ხანში გამოსცემს კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება აწინდელი სხვა-და-სხვა კანონი, დაკანონებანი და ადათები პურის ვაჭრობისა.

ადგენენ ახალს დებულებას შესახებ სომეხთა კათალიკოსის დამოკიდებულებისა უმაღლესს მთავრობასთან.

**მოსკოვი.** ფსიხოლოგთა და ნერვო-პატოლოგთა საზოგადოების წევრთ შარკოს პატივის საცემლად სადილი გამართეს.

**ნიჟნი-ნოვოგოროდი.** გუშინ საღამოს, გვიანობისას, ქალაქის პირ-და-პირ ვოლგაზე დაეჯახა ერთმანეთს ორი სახალხო გემი: ვოლგის საზოგადოებისა „ცარევი“ და „ზევეკეს“ საზოგადოებისა „ალიასკა“. გემი „ალიასკა“ რიგით ბიისკში მიდიოდა ხალხითა და საქონლით, შეჯახების დროს გვერდი გაუტყდა და ჩაიძირა. მოგზაურები მდინარის პოლიციამ გადაარჩინა. კაცთაგან სამი დაშავდა და საავადმყოფოში გაგზავნეს. საქონელი დასველდა, მაგრამ საიმისო ბევრი არა ყოფილა-რა. ეს უბედურება ახლად მილამულს ადგილებს ქვემოდ მოხდა მდ. ოკას შესართავთან და მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ ვიწრო ადგილია ᲓᲐ მეორეც კიდევ ისა, რომ ამ ადგილას წყალი ძლიერ ჩქარია.

**ვაშინგტონი.** სამეურნეო ბიურომ შემდეგი ცნობები შეჰკრიბა: ივნისის თთვის განმავლობაში ჰირნახულის მოსავალს ამ გვარად მოელიანო: სიმინდისას 92,8 %, პურისას 96,2 %, ახალთესლისას 94,1 %, შვრიისას 97,6 %, ქერისას 90,9 %. მკა დაიწყეს. მოსავალი საშუალო გამოდგა 1888 და 1890 წწ. მოსავლისა. წლევანდელი მოსავალი სჯობია 1889 წლისას. მომეტებული ნაწილი მომკილის ანეულებისა ხარისხით ძლიერ კარგი გამოდგა.

**ლონდონი.** ფილიპპე სტენგონი შემდეგს საგანზე დაეკითხა პრემერსა და ლორდს ხაზინისას: აპირობს თუ არა მთავრობა დედოფლისა, გამოუცხადოს საფრანგეთის მთავრობას, რომ ინგლისის ხალხს სასიამოვნოდ დარჩება რესპუბლიკის პრეზიდენტის მოსვლაო. პალატაში ლაბუშერმა გაჰკიცხა მთავრობა ფრანგთა საწინააღმდეგო პოლიტიკის გამო და შეჰნიშნა, შეიძლება ამ პოლიტიკამ ომი გამოიწვიოსო. სერ ჯემსმა ფერგიუსონმა ამ გაკიცხვის საწინააღმდეგოდ მიუთითა მარკიზ სალისბიურის აზრზედ, რომელსაც გლადსტონიც ეთანხმება, ᲓᲐ უარ-ჰყოფდა, ვითომ ინგლისი სამთა კავშირში ერიოსო. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს სასაცილოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ ვითომ ინგლისისა და საფრანგეთის დამოკიდებულებას საშიშო რამ მოჰყვებოდესო.

**ბერლინი.** ჰელჰოლანდის იმ გეგმით გაამაგრებენ, რომელიც უკვე ფელდმარშალის მოლტკეს მიერ არის შედგენილი. ხარჯი მოუვათ ექვსი მილიონი ფრანკი.

**ლონდონი.** იმპერატორმა ვილჰელმმა პასუხად ლორდმერის მიერ წარმოთქმულის მისის სადღეგრძელოსი საუზმეს დროს, სთქვა: „მე როგორც შვილის შვილი დედოფლისა, რომლის სახელიც ყველას საუკუნოდ ეხსომება მისის კეთილ ხასიათისა და ჰკვიანურის მოძღვრების გამო, მე ამ მშვენიერს ქვეყანაში ისე ვარ, როგორც ჩემს საკუთარს სახლში. ინგლისელთა და გერმანელთ ერთი გვარი სისხლი უდუღთ. მაგალითისამებრ მამიჩემისა და პაპიჩემისა, მე ყოველს ღონის-ძიებას ვიხმარ, რომ ისტორიული მეგობრობა ამ ორს ერს შორის დაცული იქმნას. პირველი ჩემი საზრუნველი საგანი მშვიდობიანობის დამყარებაა, რადგან იგია საჰირო წესიერად წარმატებისათვის მეცნიერებათა, ხელოვნებათა და ვაჭრობისა. ვიდრე მშვიდობიანობა იქნება, შეიძლება გულის-ყურიანად დავუფიქრდე დიდ-მნიშვნელოვან საგანთ, რომელთა დაბოლოვება და გარდაწყვეტა აწინდელის დროის ვალდებულებაა. მე ყოველთვის მზადა ვარ, მხარში ამოვუდგე ინგლისსა და სხვა ერთაც, რომ შეერთებულის ძალით ვიშრომოთ მშვიდობიანის პროგრესისა, ჩვენ შორის მშვიდობიანობის დამყარებისა და ხელოვნების წარმატებისათვის.

30 ივნისი

**პეტერბურგი.** 27 ივნისს საღამოზე მემკვიდრე ცესარევიჩი მიბრძანდა ნიჟნე-უდინსკში და 28-ს კვლავ განაგრძო მგზავრობა.

**მოსკოვი.** შარკო არჩეულ იქმნა საპატიო წევრად აქაურ ნერვო-პატალოგთა და ფსიხიატრთა საზოგადოებისა. ხვალ შარკო პარიჟში მიემგზავრება ვენაზე.

**ოდესა.** მეფე სერბიისა ალექსანდრე მოვა ოდესაში 14 ივლისს შავის ზღვისა და დუნაის საზოგადოების გემით და აქედგან მოსკოვსა და პეტერბურგს გაემგზავრება კიევზე.

**ლონდონი.** გერმანიის იმპერატორი და დედოფალი ინგლისის პრინცებისა და პრინცესსებითურთ დღეს ვიმბლდონში დაესწრნენ ჯარის აღლუმს. ვიმბლდონის მინდორზე მილიონი ხალხი მოგროვდა.

1 ივლისი

**პეტერბურგი.** დღეს 1-ლ შინაგანის სესხის მომგებ ბილეთების ტირაჟში უმთავრესნი მოგებანი ხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერიისა. | №№ ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|
| 18,485 | 6 | 200,000 |
| 3,858 | 31 | 75,000 |
| 1,946 | 29 | 40,000 |
| 2,213 | 49 | 25,000 |
| 18,549 | 28 | 10,000 |
| 8,710 | 39 | 10,000 |
| 1,674 | 7 | 10,000 |
| 10,021 | 8 | 8,000 |
| 13,827 | 17 | 8,000 |
| 12,169 | 5 | 8,000 |
| 47 | 50 | 8,000 |
| 5,373 | 18 | 8,000 |
| 1,376 | 17 | 5,000 |
| 9,083 | 34 | 5,000 |
| 15,013 | 19 | 5,000 |
| 1,894 | 45 | 5,000 |
| 8,562 | 29 | 5,000 |
| 15,131 | 15 | 5,000 |
| 12,516 | 31 | 5,000 |
| 15,605 | 34 | 5,000 |
| 647 | 42 | 1,000 |
| 776 | 21 | 1,000 |
| 17,721 | 45 | 1,000 |
| 15,679 | 7 | 1,000 |
| 7,015 | 25 | 1,000 |
| 5,261 | 18 | 1,000 |
| 8,119 | 15 | 1,000 |
| 3,463 | 50 | 1,000 |
| 14,307 | 10 | 1,000 |
| 6,076 | 37 | 1,000 |
| 10,778 | 34 | 1,000 |
| 12,604 | 11 | 1,000 |
| 2,385 | 47 | 1,090 |
| 12,740 | 42 | 1,000 |
| 15,504 | 33 | 1,000 |
| 17,367 | 43 | 1,000 |
| 3,659 | 50 | 1,000 |
| 4,649 | 5 | 1,000 |
| 7,680 | 32 | 1,000 |
| 10,236 | 44 | 1,000 |

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისი

| | მიცემულის. | გამყიდველის. | გაყიდულის. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7, 28 |
| ტამოჟნის კუპონები . | — „ | — „ | $146^1/_4$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1, 05 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 244 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 225 |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურ. ცელი, . , , , | $211^3/_4$ | — „ | $210^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |


# განცხადებანი

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

## წიგნის მაღაზია

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსულიშვილის სახლებში.

ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

## წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |

გამოვიდა და ისყიდება ქვემო მოხსენებულ პირებთან ერთ წიგნში მოთავსებული ქართული პიესები.

# ქართული პიესები

თხზულება

**აღალო თუთაევისა.**

ამ იგნში შემდეგი პიესებია მოთავსებული:

**„უშნო არშიყი“**, კომედია სამ მოქმედებად.

**„სოფიო“**, ვოდევილი ერთ მოქმედებად.

**„დუქნის ოთახში“**, სცენა ქალაქის ცხოვრებიდამ.

ტფილისში—„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში, წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. და თვით ავტორთანსა კუთარს მაღაზიაში

კავკავში—ი. ტერტეროვთან.

ველისციხეში—მ. ქალანთაროვთან.

სიღნაღში—კ. ნადიროვთან.

თელავში—მამა აბელ სუქიანცთან.

გორში—სოფრომ მგალობლიშვილთან.

ცხინვალში—ი. მელქუოვთან.

„ თ. კ. მ. ციციანოვთან.

სურამში—ზ. არუწოვთან.

ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.

ქუთაისს—ძმ. ჰილაძეებისა და ძმ. წერეთელ. წიგნის მაღაზიაში.

ხონში—ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალსენაკში—ი. ჯიჯიხიასთან.

ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოთშ—ნოდიას წიგნის მაღაზიაში.

სოხუმში—ან. ჯუღელთან. ფასი. 30 კაპ. (15—6)




ტფილ. გამოფენა.




ვარცხლისა ოქროსი

# აღალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ,

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველანაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში, ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისთვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცი პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ).

ჩემი ადრესი: въ Тифлисъ заводъ масляныхъ красокъ на кузнецкой улицѣ (ярмарка) или собственномъ домѣ Абасабадская площадъ Агало А. Тутаеву. (15—75—8)

ქუთაისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემორე მოხსენებულს რიცხვებში ქ. ქუთაისში, ბანკის გამგეობის სადგურში, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბინკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა, 28 აგვისტოს 1891 წელსა.

ვაჭრობა 12 აგვისტოს 1891 წელსა

**$18^7/_{12}$ წლიანნი სესხნი**

ქ. ქუთაისს

ვარდანაშვილისა, გიგო მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15, 42 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 193 მან. 7 კაპ, შესავს. გარდასახადი 67 მან. 90 კაპ., სულ 260 მან 97 კაპ.

დარახველიძისა, მიხაილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 312 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 2182 მან. 77 კაპ. შეს. გარ. 500 მან. 76 კაპ., სულ 2683 მან. 53 კაპ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის; ვოკზალის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 3835 მან. 50 კაპ. შეს. გარ. 957 მან. 12 კაპ., სულ 4792 მან. 62 კაპ.

მემკვიდრეთა ჩარქვიანისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა 103 $^1/_2$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 997 მან. 20 კაპ. შესავ. გარ. 345 მან. 40 კაპ., სულ 1342 მან. 60 კაპ.

დისამიძეთა, ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1068 მან. 8 კაპ. შეს. გარ. 248 მან. 8 კაპ., სულ 1316 მან. 16 კაპ.

მიქელაძისა, ეკატერინა კონსტანტინეს ასულის: ორპირის ქუჩაზე სამოსახლო ადგილი, ზომით 442 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 640 მან. 70 კაპ. შეს. გარ. 152 მან. 80 კაპ., სულ 793 მან. 50 კაპ.

მემკვიდრეთა ფარცვანიასა, ივანე დავითის ძის: მიხაილის წუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა $50^1/_2$ კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1068 მან. 8 კაპ. შეს. გარ. 260 მან. 48 კაპ., სულ 1328 მან. 56 კაპ.

ალიბეგოვთა, ალექსანდრე, იოსებ და ივანე ხვთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 545 მან. 6 კიპ. შეს. გარ. 178 მან. 25 კაპ., სულ 723 მან. 31 კაპ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 54 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 583 მან. 75 კაპ., შეს. გარ. 140 მან. 7 კაპ., სულ 723 მან. 82 კაპ.

მემკვიდრეთა მურვანოვისა, პეტრე სიმონის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 210 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 116 მან. 92 კაპ. შეს. გარ. 39 მან. 70 კაპ., სულ 156 მან. 62 კაპ.

ალიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე ივანე ხვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 505 მან. 96 კაპ. შეს. გარ. 131 მან., სულ 636 მან. 96 კაპ.

ჩოგოვაძისა ვასილ ოქროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 252 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 55 მან. 23 კაპ., სულ 308 მან. 10 კაპ.

ლორთქიფანიძისა ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 815 მან. 51 კაპ. შეს. გარ. 165 მან. 75 კაპ., სულ 981 მან. 26 კაპ.

რუხაძისა კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 630 მან. 23 კაპ. შეს. გარ. 104 მან. 37 კაპ., სულ 734 მან. 60 კაპ.

ბებელაშვილისა ანტონ სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 439 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 483 მან. 61 კაპ. შეს. გარ. 113 მან. 60 კაპ., სულ 597 მან. 21 კაპ.

ჟღენტისა ანტონ სპირიდონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 198 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 1509 მან. 27 კაპ. შეს. გარ. 220 მან. 66 კაპ., სულ 1729 მან. 93 კაპ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა ნიკოლოზ ენოქის ძის: ქარვანსარაიის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით, და მიწა 36 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 5803 მან. 20 კაპ. შეს. გარ. 1040 მან. 53 კაპ., სულ 6843 მან. 73 კაპ.

მესხისა მიზარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 189 კვადრ. საჟ. თავ-